პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

11 დეკემბერი
სამშაბათი,
1962 წ.
№ 242 (3091)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლიან ბილიკებზე

ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მოთხილამურეებმა დაამთავრეს მოსამზადებელი პერიოდი და ჩაებნენ პირველ შეჯიბრებაში. სვერდლოვსკში ძალებს სცდიდნენ მორბენლები, ხოლო ტომსკში — მორბენლები და მხტომელები. სვერდლოვსკში გამართულ შეჯიბრებაში სხვებთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძოდნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ესტაფეტაში უპირატესობა დარჩათ საკავშირო ნაკრების წევრებს. ქალებმა მსოფლიო ჩემპიონების ლ. ბარანოვას, ა. კოლჩინასა და მ. გუსაკოვას შემადგენლობით ესტაფეტაში 3×5 კმ-ზე აშკარად აჯობეს ყველა მოწინააღმდეგეს. ვაჟთა ესტაფეტა 4×10 კმ-ზე მოიგო ჩვენი ქვეყნის პირველმა ნაკრებმა, რომლის ლიდერი იყო პ. კოლჩინი.

ტომსკში გაიმართა რბენა ვაჟებისათვის 15 და ქალებისათვის 5 კმ-ზე. ვაჟთა შეჯიბრება მოიგო საკავშირო ნაკრების წევრმა ვ. კრასავინმა, რომელმაც 15 კმ განვლო 49.15,0-ში და 36,0-ით აჯობა ა. აკენტოვს. ქალთა შორის ფინიშზე პირველი მივიდა სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონი სვერდლოვსკელი ლ. ჟადაევა—19.45,0. აქვე, ახალ ტრამპლინზე გაიმართა ხტომები მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, გორკისა და სხვათა უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით.

გამოცდილ სპორტსმენებთან კ. წაქაძესთან, ნ. შამოვთან და სხვებთან ბრძოლაში მოსკოველმა ახალგაზრდა ოსტატმა ა. ივანიკოვმა შეძლო 224,6 ქულის მოგროვება და გამარჯვების მოპოვება. მეორე ადგილზე გამოვიდა კ. წაქაძე, მესამეზე — ნ. შამოვი.

ლიდერთა მდგომარეობა უცვლელია

მოჭადრაკე ქალთა XXII საკავშირო ჩემპიონატის XIII ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა კაკაბაძე-მუსლიმოვას შეხვედრა. ესპანურ პარტიაში ალმაატელმა მოჭადრაკემ მცდარი კომბინაცია წამოიწყო და უკვე მე-17 სვლაზე იძულებული შეიქნა დანებებულიყო გარდუვალი შამათის მუქარის გამო.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ანდრეევამ ლენინგრადელ ბიშარდთან. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ როოტარე-კუშნირი და ფილანოვსკაია-მატვეევა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ჩაიკოვსკაიას კარგი თამაში ჰქონდა იაკირთან, მაგრამ ცაიტნოტში მან სუსტად ითამაშა და ფიგურა დაკარგა. მიუხედავად ამისა, ბრძოლის სიმწვავე არ დამცხრალა. პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში.

XIII ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა უცვლელია, ვინაიდან მათი პარტიები არ დამთავრებულა. ლ. ვოლპერტს 8,5 ქულა აქვს 12-დან, ლ. იაკირსა და ტ. ზატულოვსკაიას—7,5 ქულა თვითეულს 11-დან, ს. როოტარეს — 8 ქულა 13-დან, კ. ზვორიკინას — 7,5 ქულა 12-დან.

ო. კრუმინში.

რიგა. ტელეფონით.

ჩვენი ინტერვიუ

◆

იური ოზეროვი: „ჩვენ კმაყოფილნი ვართ ტურნეთი“

◆

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდი. „ნოვოსტის“ კორესპონდენტმა სთხოვა საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, კალათბურთის საკავშირო ფედერაციის მთავარ მწვრთნელს, იური ოზეროვს ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— კმაყოფილნი ხართ თუ არა ტურნეს შედეგებით?

— ძლიერ. ჩვენმა კალათბურთელმა ქალებმა, როგორც ცნობილია, მოიგეს ყველა რვა შეხვედრა. უფრო მეტად სასიხარულოა ვაჟთა შედეგები. მათ მოიგეს ოთხი მატჩი, მათ შორის ორი ამერიკის ნაკრებთან. მართალია მათ წააგეს ოთხი შეხვედრა, მაგრამ უნდა მოგაგონოთ, რომ ამერიკის ნაკრებს თავის მოედანზე ჩვენამდე არავისთან არ წაუგია.

— როგორ მიიღეს საბჭოთა კალათბურთელები ამერიკაში?

— კარგად. ააიუ (სამოყვარულო ათლეტური კავშირი) სტუმართმოყვარე მასპინძელი გამოდგა. 25 დღის განმავლობაში ჩვენ ვიყავით ქვეყნის 7 ქალაქში — ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ნეშვილში, სუფოლსში, მაუნტ-პლიზენში, ლაბოკსა და დენვერში — და არც ერთხელ არ გაგვიგია სიტყვა „არა“. მაგალითად, ჩვენ მოვითხოვეთ შევხვედროდით მუშებს და ჩვენი თხოვნა წამსვე დააკმაყოფილეს. ჩვენ ვიყავით ფორდის ორ ქარხანაში. მუშებმა მეგობრულად მიგვიღეს.

მაუნტ-პლიზენში სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. სტუდენტთა ინიციატივით მოეწყო რამდენიმე ერთობლივი დასვენების საღამო. როცა მაუნტ-პლიზენიდან გამოვემგზავრეთ, სუვენირების ზღვაში აღმოვჩნდით.

დენვერში სახლში მიგვიწვია ამერიკის ვაჟთა ნაკრები გუნდის მეორე მწვრთნელმა ლეინმა. იგი იცნობს ბევრ საბჭოთა კალათბურთელს ჯერ კიდევ რომის ოლიმპიადიდან.

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები ს. სპანდარიანი და ა. გომელსკი, მოთამაშეები ვ. ზუბკოვი, ი. კორნეევი, გ. ვოლნოვი, რომლებიც სამი წლის წინათ იყვნენ ამერიკაში, ამტკიცებენ, რომ ამერიკელები ამჯერად უფრო კარგად დახვდნენ, ვიდრე მაშინ.

ამერიკის ნაკრები გუნდის კაპიტანმა აგვიხსნა: „ჩვენ უბრალოდ სიკეთეზე სიკეთით გპასუხობთ. წლინახევრის წინ, როცა ტურნეს ვატარებდით საბჭოთა კავშირში, ჩვენ თავს ვგრძნობდით, როგორც სახლში“.

— როგორ გამოეხმაურა ამერიკული პრესა საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებს?

— სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად გავოცდით: გაზეთები დაწვრილებით აღწერდნენ, თუ როგორ გვაცვია, რას და რამდენს ვჭამთ და ა. შ. თუმცა, თამაშების ანგარიშსაც არანაკლები სტრიქონები ეძლევა. სტატიებისა და ანგარიშების ტონი კეთილმოსურნე იყო.

— ნახეთ თუ არა პროფესიონალთა თამაში? თქვენის აზრით ვინ უფრო ძლიერად თამაშობს—პროფესიონალები თუ მოყვარულები?

— ვნახეთ პროფესიონალებიც, კერძოდ, გუნდი, რომელშიც თამაშობს ჩვენი ძველი ნაცნობი ბილ რასელი. მაგრამ თვალის ერთი გადავლებით ძნელია შეადარო ისინი მოყვარულებს. ერთნიც და მეორენიც რამდენადმე განსხვავებული წესებით თამაშობენ. პროფესიონალები და მოყვარულები ამერიკაში ერთმანეთს არ ხვდებიან.

— სასარგებლოა თუ არა ტურნეები, მაგალითად, ისეთი, როგორიც თქვენ ჩაატარეთ?

— ყოველგვარ ეჭვს გარეშე სასარგებლოა; ხოლო ჩვენი კალათბურთელებისათვის განსაკუთრებით. ვაჟთა კალათბურთი ხომ ერთადერთი ოლიმპიური სახეობაა, სადაც ჩვენ ამერიკელებთან ვაგებთ.

— რა შეგიძლიათ თქვათ საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეებზე?

— ამერიკის ნაკრებში რამდენიმე მოთამაშე იყო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იყვნენ 1961 წელს. მართალია, არ თამაშობდა ცნობილი ლუკასი, მაგრამ მის გარეშეც ამერიკის ახლანდელი ნაკრები ნაკლებად არ თამაშობს, ვიდრე იგი, რომელიც ჩვენში იყო. დაახლოებით იგივე ძალისაა სტუდენტური ნაკრებიც. სხვა „მეტოქეები“ ჩვენ არ გვყავდა.

— შეიძლება ჩავთვალოთ ოთხი მოგების შემდეგ, რომ ჩვენ დავეწიეთ ამერიკელ კალათბურთელებს?

— რა თქმა უნდა, არა. საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა პროგრესი უდავოა. ამას აღნიშნავდნენ ამერიკელი სპეციალისტებიც, ისეთები, როგორიცაა ლუკასი და ამერიკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ბრაუნინგი. მაგრამ ნაადრევია იმის თქმა, რომ ჩვენ დავეწიეთ ამერიკელებს. განსხვავება შემცირდა, მაგრამ არ მოისპო.

— თამაშის რა ნაწილში არიან ამერიკელები ჩვენზე ძლიერნი? რაზე უნდა გაამახვილონ პირველ რიგში ყურადღება ჩვენმა მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა?

— უპირველესად ვიტყვი იმის შესახებ თუ რა ნაწილში. თვით ამერიკელთა აღიარებით, უკვე ძლიერნი ვართ მათზე. ეს — ტაქტიკა და კოლექტიური თამაშია. ამერიკელები კვლავინდებურად გვჯობნიან ტექნიკასა და საშუალო მანძილიდან ზუსტად ტყორცნაში. აი რისკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი მწვრთნელების ძალები.

— როგორ ფიქრობთ, საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციამ უნდა ისესხოს თუ არა რაიმე ამერიკელებისაგან შეჯიბრების ორგანიზაციისა, ჩატარებისა და ნაკრების დაკომპლექტების საკითხში?

— არა. ამერიკის ნაკრები გუნდები დაკანონებული შაბლონით კომპლექტდება: ხუთი მოთამაშე— ამერიკის ჩემპიონის გუნდიდან, დანარჩენები — მაღალი კლასის მოთამაშეები სხვა კლუბებიდან. ჩვენთვის ასეთი სისტემა მიუღებელია.

რაც შეეხება შეჯიბრების ორგანიზაციას და ჩატარებას, ამაში ჩვენი დელეგაციის ყველა წევრის ერთსულოვანი აზრია, რომ ვაჯობეთ ამერიკელებს.

— შეთანხმდით თუ არა შემდეგ შეხვედრებზე ამერიკელ და საბჭოთა კალათბურთელებს შორის?

— დიახ, ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ ამერიკელი კალათბურთელები გვეწვევიან 1963 წლის დამლევს. თუმცა ეს შეთანხმება წინასწარია.

• • •

სურათზე: საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩის მომენტები.

წელს ბაკურიანში

ახლოვდება ზამთრის სპორტული სეზონი. სპორტის ზამთრის სახეობათა მოყვარულნი ჩვენს რესპუბლიკაში ემზადებიან პირველი სტარტებისათვის, ხოლო ბაკურიანის სათხილამურო ბაზები — პირველი სტუმრებისათვის. მიმდინარე სეზონში აქ მრავალი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. ტონის მიმცემი იქნება შეჯიბრება ჩვენი გაზეთის პრიზზე, რომელიც 23-25 დეკემბერს გაიმართება. ამ შეჯიბრების შემდეგ 1-3 იანვარს ბაკურიანში მოეწყობა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ბიატლონისტთა შერჩევითი შეჯიბრება მსოფლიო პირველობისათვის, რომელიც ჩატარდება ერთი თვის შემდეგ ინსბრუკში, მომავალი ზამთრის ოლიმპიადის ცენტრში.

6-11 თებერვალს ბაკურიანი დაეთმობა პროფკავშირთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეებს, (სათხილამურო რბენა, სამთო სახეობები, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი და ფიგურული სრიალი). ეს ღონისძიება შეარჩევს რესპუბლიკის გუნდს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირთა V საკავშირო ზამთრის სპარტაკიადაში. დამთავრდება თუ არა პროფკავშირთა ზამთრის რესპუბლიკური სპარტაკიადა, სტარტს აიღებენ უძლიერესნი რესპუბლიკის ჩემპიონობის მოსაპოვებლად. 18-20 თებერვალს პირველად გათამაშდება საქართველოს მინისტრთა საბჭოს თასი საბჭოთა კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა შორის.

24-28 თებერვალს ბაკურიანში მოეწყობა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ფინალური შეჯიბრება ფიგურულ სრიალში, ხოლო 1-5 მარტს — სათხილამურო სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. როგორც ვხედავთ, ბაკურიანი წელსაც სრული დატვირთვით იმუშავებს.







არმაზის ხეობაში

უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი გავრცელება ჰპოვა კლდეზე ცოცვამ. ალპინიზმისაგან განსხვავებით, რომლის განვითარება განსაკუთრებულ ბუნებრივ პირობებს მოითხოვს და მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალმთიან რაიონებთან, კლდეზე ცოცვაში ვარჯიში შეიძლება ყველგან, სადაც კი მოიძებნება რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლის კედლები. კლდეზე ცოცვა მთასვლელთა წინასაზაფხულო ვარჯიშის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. გარდა ამისა, იგი დამოუკიდებელი სახეობაცაა და საინტერესო, მიმზიდველი სანახაობა.

თუ გავიხსენებთ, რომ თბილისის მიდამოები მდიდარია კლდეებით, ნათელი გახდება, რამდენად ხელმისაწვდომია ჩვენთან კლდეზე ცოცვის განვითარება.

გასულ კვირას არმაზის ხეობაში ჩატარდა თბილისის პირველობა კლდეზე ცოცვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 გუნდი. მისასალმებელია ამ შეჯიბრებაში ჩვენს ქალაქში ახლად დაარსებული მოზარდთა მთასვლური სპორტული სკოლის მონაწილეობა. სკოლის მოსწავლეები სულ რამდენიმე თვეა გაეცნენ მთასვლურ ტექნიკას, მაგრამ საკმაოდ ძლიერ კონკურენციას უწევდნენ სხვა გუნდების წარმომადგენლებს, რომელთა შორის ბევრი მაღალი კვალიფიკაციის მთასვლელია.

შეჯიბრების ტრასა გადიოდა თითქმის შვეულ კედელზე. მისი უშეცდომოდ გავლისათვის აუცილებელი იყო კლდეზე ცოცვის მაღალი ტექნიკა. ჩათვლაში შედიოდა როგორც ტექნიკური მომზადება, ასევე ტრასის გავლის დროც.

კარგი შედეგებით დაამთავრეს შეჯიბრება პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის გუნდებმა, რომელთა წარმომადგენლებმა გაინაწილეს საპრიზო ადგილები. პირველი ადგილი 346 ქულით დაიკავა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ლონლაძემ. მეორე ადგილი წილად ხვდა უნივერსიტეტელ ერქომაიშვილს—343 ქულა, მესამე—ბანძელაძეს — 332 ქულა (სამხატვრო აკადემია).

აქვე უნდა აღინიშნოს ხარვეზებიც. გუნდების სიმცირის გამო არ ჩატარდა პირველობა ქალთა შორის. შეჯიბრებაში არ მიიღეს მონაწილეობა სპორტსაზოგადოება „განთიადში“ შემავალმა ორგანიზაციებმა, რომელთაც შეეძლოთ სრულფასოვანი გუნდების გამოყვანა.

• • •

სურათებზე თქვენ ხედავთ შვეულ კედელზე ცოცვის მომენტებს.

ფოტო და ტექსტი **ლ. ღლონტისა.**

დიდი ყურადღების ღირსი

✦

თ. მანაგაძე,
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

✦

ჩვენ ყველას გვახსოვს როგორი მაღალი შეფასება მისცა ნ. ს. ხრუშჩოვმა მსოფლიოში პირველი კოსმონავტის მეუღლეს ვალენტინა გაგარინას. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მას უწოდა „შესანიშნავი საბჭოთა ქალი“... მან ხომ იცოდა, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ იური ალექსის ძე კოსმიურ სამყაროში აპირებდა გაფრენას, იგი კი არ უშლიდა ხელს, პირიქით, მოუწოდებდა შეესრულებინა პარტიისა და ხალხის დავალება. მოუწოდებდა საყვარელ ქმარს, ორი ქალიშვილის მამას, დიდი გმირობისაკენ.

ჩვენი ქალები გმირულ მაგალითებს გვიჩვენებენ კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. ასევეა ფიზკულტურასა და სპორტშიც. ისინი შესანიშნავი სპორტსმენები და კარგი ხელმძღვანელები არიან. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში 210.955 ქალი მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს, მათგან 129 ატარებს სპორტის ოსტატის წოდებას, ხოლო 7 — სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო სახელს. სპორტულ საქმიანობას ეწევა 10 საკავშირო, 26 რესპუბლიკური და 1 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 5 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ა. შ. დღითიდღე იზრდება მოწინავე სპორტსმენ ქალთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში. საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი სასიქადულო სპორტსმენი ქალების სახელები: დამსახურებული ოსტატი ნინო დუმბაძე, რომლის ნატყორცნი ბადრო 1952 წელს 57 მ და 04 სმ-ზე დაეცა, ეს იყო ახალი მსოფლიო რეკორდი და 1952 წლიდან მოყოლებული 1960 წლამდე ნინოს რეკორდი მსოფლიოს უძლიერესი მტყორცნელი ქალებისათვის სანუკვარი ზღვარი იყო. შემდეგ, როცა ნინომ თავი მიანება სპორტულ სარბიელს, ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას მიჰყო ხელი და ახალ კადრებს ზრდის ქართული სპორტის სადიდებლად. დუმბაძის აღზრდილთა შორის ყურადღების ღირსია მისივე შვილი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი წამყვანი ათლეტი, სპორტის ოსტატი ი. დიაჩკოვ-დუმბაძე დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობენ სპორტის ვეტერანები ელენე გოკიელი, რომელმაც ქართულ სპორტს აღუზარდა ნიჭიერი მძლეოსანი, საკუთარი შვილი გ. გვინჩიძე; XV და XVI ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნადეჟდა დვალიშვილი, ტანმოვარჯიშეები მზია ჯუღელი, რაისა ზაალიშვილი და გალინა შარაბიძე, ცნობილი ალპინისტი ალექსანდრა ჯაფარიძე.

რამდენი მღელვარება და სიხარული განაცდევინა ჭადრაკის გულშემატკივრებს ნონა გაფრინდაშვილმა ჯერ პრეტენდენტთა ტურნირში ბრძოლის დროს, ხოლო შემდეგ მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან ბრძოლაში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტში ქალების ჩაბმის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სოფლად. ამის მიზეზი ადვილი გამოსაძებნია — სოფლად ჯერ კიდევ შეინიშნება ბურჟუაზიული საზოგადოების გადმონაშთების რეციდივები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს. მისასალმებელია, რომ ქალაქად მცხოვრები ქალები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ებმებიან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში, მაგრამ ფიზკულტურული მოძრაობის დღევანდელი მოთხოვნები გვიკარნახებენ, რომ ყველგან თანაბრად ვითარდებოდეს მშრომელთა ფიზიკურად გამოწრთობის შესანიშნავი საშუალება — ფიზიკური კულტურა და სპორტი. ყოველივე ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ადგილებზე მოისუსტებს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.

სოფლად მომუშავეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და მათი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის სპორტულ მუშაობაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საწარმოო ტანვარჯიშმა. სოფლად ამ მეტად სასარგებლო ღონისძიების პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ახლა საჭიროა მისი განზოგადება და გავრცელება, რისთვისაც გვჭირდება ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მეტი ყურადღება.

ცნობილია, თუ რა შესანიშნავი შედეგები მოაქვს საერთოდ სპორტის აღმავლობაში ბავშვთა შორის მუშაობის უკეთ ორგანიზებას, მაგრამ აქაც ზოგიერთი რამ გვაფერხებს. ხშირია შემთხვევები, როცა ფიზკულტურის მასწავლებლები გოგონებს ათავისუფლებენ ფიზაღზრდის გაკვეთილებიდან, იტოვებენ მხოლოდ ვაჟებს და გოგონათა შორის სპორტული მუშაობის საქმეს ბედის ანაბრად ტოვებენ.

აღსანიშნავია, რომ გოგონები შედარებით მცირე რაოდენობით არიან გაერთიანებული სპორტსკოლებში. საკმარისია ვთქვათ, რომ ბავშვთა სასპორტო სკოლებში გაერთიანებულ 24.137 მოსწავლიდან გოგონათა რიცხვი არ აღემატება 7.311-ს.

მიმდინარე წლის ოქტომბერში ბაქოში ჩატარდა ფრიად სასარგებლო და საინტერესო ღონისძიება — საკავშირო თათბირი ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხებზე. თათბირში საქართველოდან მონაწილეობდნენ ე. გოკიელი, მ. ტყავაძე, მ. ყუფარაძე, ვ. ჩიხლაძე, გ. ბათმანოვა, ვ. თედეევა, ა. დოკვაძე და ამ სტრიქონების ავტორი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს რამდენიმე საინტერესო მოხსენება: „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ“ (მომხ. რზაევა — აზერბაიჯანის ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე). მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები: „საერთო ფიზიკური მომზადების შინაარსი და მეთოდიკა საშუალო და უფროსი ასაკის ქალთა შორის“ (მომხს. სიტნიკოვა), „სისხლძარღვოვანი სისტემის ძირითადი ფუნქციური თავისებურებანი სპორტში ჩაბმულ ქალთა შორის“ (მომხს. მეცნიერებათა დოქტორი გონჩაროვა), „სამედიცინო ბიოლოგიური ვარჯიში ფიზკულტურაში ქალთა შორის“ (მომხს. როჟკოვა), „გოგონებისა და ქალიშვილების ფიზიკური აღზრდის საკითხები საშუალო სკოლებში“ (მომხს. კუზნეცოვა). აღნიშნული თათბირის მსვლელობის დროს ჩვენი რესპუბლიკიდან კამათში გამოსულმა ე. გოკიელმა ილაპარაკა თავისი მუშაობის გამოცდილებაზე, ქუთაისის ქალთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარემ მ. ყუფარაძემ — გამაჯანსაღებელ მუშაობაზე, ხოლო ა. დოკვაძემ — ჩაის პლანტაციებში ქალთა საწარმოო ტანვარჯიშის ორგანიზაციის საკითხებზე.

საკავშირო თათბირზე საქართველოდან წარგზავნილმა ამხანაგებმა მსმენელებს მოუთხრეს აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორაა ორგანიზებული საქართველოში ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. თათბირის მონაწილეებმა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლებიდან შეიტყვეს, რომ საქართველოში შექმნილია როგორც რესპუბლიკური, ისე სარაიონო და საქალაქო საბჭოები. ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკურმა საბჭომ უკვე ჩაატარა გარკვეული მუშაობა. კონკრეტული დახმარება გაუწია ადგილობრივ საბჭოებს, რესპუბლიკური სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე განხილულ იქნა საკითხები ქალთა შორის ფიზკულტურული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ რუსთავში, ჭიათურაში, თელავში, ყვარლის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში. აქტიურად მუშაობს რუსთავის ქალთა შორის მუშაობის საბჭო, მაგრამ აღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში რიგ შემთხვევებში არადამაკმაყოფილებელია ქალთა შორის სპორტის პროპაგანდის საქმე, ჯერ კიდევ ცოტაა სპორტსმენ ქალთა მაჩვენებლები, არ იყენებენ წვრთნის ახალ მეთოდებს, თითქმის არაფერი კეთდება დიასახლისების სპორტულ მუშაობაში ჩაბმისათვის და სხვ. თათბირის მონაწილეებს გავაცანით ისეთი ღონისძიებების შესახებ, როგორიცაა ქალთა ტრადიციული სპარტაკიადების ჩატარების პრაქტიკა და სხვა.

საკავშირო თათბირზე ჩვენს მიერ წამოჭრილ იქნა შემდეგი საკითხები: პერიოდულად ორგანიზებულ იქნას ასეთი ტიპის საკავშირო თათბირები, საკავშირო სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარში შეტანილ იქნას ქალთა ზონალური და საკავშირო სპარტაკიადა, ფართო პროპაგანდა გაეწიოს ქალთა შორის სპორტული მუშაობის უკეთ ორგანიზაციის პრესის, ტელევიზიის და რადიოს საშუალებით. ჩვენ აგრეთვე დავუყენეთ საკითხი, რომ უახლოეს ხანში შეიქმნას ქალთა შორის მუშაობის საკავშირო საბჭო.

თათბირის მონაწილეთათვის აზერბაიჯანელმა მასპინძლებმა ჩაატარეს ძალზე საინტერესო ღონისძიება: ზღვისპირა პარკში მოეწყო სპორტული ზეიმი უფროსი, საშუალო და უმცროსი ასაკის ქალთა მონაწილეობით. გარდა ამისა, თათბირის მონაწილენი გაეცნენ ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას, დაესწრნენ სპორტულ ღონისძიებებს და ა. შ.

ახლა, როცა თათბირი დამთავრდა, ჩვენი რესპუბლიკის ქალთა შორის მუშაობის საბჭოს მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობა მოუხდება. კერძოდ, უახლოეს ხანში უნდა ჩატარდეს სპორტსმენ და ფიზკულტურელ ქალთა საქალაქო აქტივები, სადაც საჭიროა დაისახოს შემდგომი მუშაობის ამოცანები, შეიქმნას დიასახლისთა ჯგუფები, რათა მოსახლეობის ეს ფენაც ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩაებას. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ისიც, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რესპუბლიკის პერიფერიებში ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას.

საინტერესო ღონისძიება

თბილისის ბავშვთა ცენტრალური ტურისტულ-საექსკურსიო სადგური 10 წელია მომსახურებას უწევს მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ნორჩ ტურისტებს. სადგურთან არსებობს მეგობრობის შტაბი, რომელიც აერთიანებს თბილისის, მოსკოვისა და მესტიის მოსწავლეებს.

1962 წლის ზაფხულში, მეგობრობის შტაბმა მოაწყო შეკრება მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით. მოსკოვში ლენინის მთაზე აგებულ პიონერთა ახალ სასახლეში შეკრების მონაწილენი შეხვდნენ საფრანგეთის, რუმინეთის, ფინეთის, უნგრეთის, დანიის, გდრ-სა და პოლონეთის მოსწავლეებს.

საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა წელს პირველად მოაწყო ნორჩ ტურისტთა სარაიონთაშორისო შეკრებები და შეკრებათა შემაჯამებელი რესპუბლიკური შეკრება ჩაატარა სოფ. გვერდისუბანში.

1962 წლის ზაფხულის პერიოდში თბილისის საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა მიიღო და მომსახურება გაუწია 1393 ნორჩ ექსკურსანტს.

ბავშვთა რესპუბლიკურმა 12-მა საექსკურსიო ბაზამ 1952-62 წლების განმავლობაში მომსახურება გაუწია მოძმე რესპუბლიკების 175 ქალაქისა და სოფლის სკოლების 72.322 ნორჩ მოგზაურს.

უ. მდინარაძე

გარდამავალი თასი „ბურევესტნიკს"

მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის წინ ბრძოლას მხოლოდ სამი კოლექტივი განაგრძობდა: „ბურევესტნიკი", „სპარტაკი" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — „დინამო". ამ გუნდებში უველაზე კარგი მდგომარეობა ჰქონდა „ბურევესტნიკს", რომელსაც ბოლო დღეს ორი შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა კონკურენტებთან. დანარჩენ კოლექტივებს კი უკვე დამთავრებული ჰქონდათ ბრძოლა და გარკვეული ადგილები ეკავათ სატურნირო ცხრილში.

მეოთხე ადგილზე ჩემპიონატში გამოვიდა არმიელთა ნაკრები, მეხუთეზე — „ლოკომოტივი", ხოლო მეექვსეზე — „კოლმეურნე". განსაკუთრებით მისასალმებელია „კოლმეურნის" სპორტსმენთა წარმატება. მეექვსე ადგილი უძლიერესთა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც 19 ნაკრები გუნდი გამოდიოდა, რა თქმა უნდა, წარმატებაა. „კოლმეურნის" მოჭიდავეებმა მთელ რიგ შეხვედრებში გამოავლინეს კარგი მომზადება, მტკიცე სპორტული დისციპლინა და სამართლიანად დაიმსახურეს მაყურებელთა სიმპათიები.

ახლა კი თვით ფინალისტებზე. ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" გუნდები. პირველ წონაში სპარტაკელმა კიშიევმა ქულებით დაამარცხა რევიშვილი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, გაბსატაროვის („ბურევესტნიკი") და მიშიევის შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე. „სპარტაკის" პირველი წარმატება ამით დამთავრდა. მომდევნო სამ წონით კატეგორიაში სტუდენტთა გუნდის წევრები დამაჯერებელ გამარჯვებებს აღწევენ. რუბაშვილთან შეხვედრაში რომანოვი მოხსნილი იქნა პასიური ჭიდაობისათვის. ბერიაშვილმა ჩვეული ოსტატობით ჩაატარა ბრძოლა ჟურულის წინააღმდეგ და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. პრინციპული ხასიათი ჰქონდა სალარაძისა და ბეკმურზოვის ორთაბრძოლას. უკანასკნელ ხანებში გამარჯვების სასწორი ხშირად სალარაძის მხარეს იხრება. ასე იყო ამჯერადაც. მეტად ძნელ და დაძაბულ ბრძოლაში სალარაძემ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. „სპარტაკის" მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა გობეჯიშვილმა, რომელმაც ქულებით დაამარცხა ლეტუნი. მაგრამ ეს იყო და ეს. ამით დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებათა სათვალავი. ქვემძიმე წონაში გოგიბედაშვილის ავადმყოფობის გამო კიდევ ოთხი ქულა მოემატა „ბურევესტნიკს". მძიმე წონაში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მედვედმა ადვილად სძლია პოპოვს („სპარტაკი"), „ბურევესტნიკმა" შეხვედრა მოიგო ანგარიშით 20:8 და კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიკვლია გზა პირველი ადგილისაკენ.

„ბურევესტნიკისა" და „დინამოს" მოჭიდავეთა შეხვედრით დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი და 4-დღიანი საინტერესო ბრძოლა გარდამავალი თასისათვის. „ბურევესტნიკმა" დასაწყისში უბრძოლველად მიიღო ორი წმინდა გამარჯვება — პირველ ორ წონაში „დინამომ" ვერ შეძლო მონაწილეთა გამოყვანა.

ქვემსუბუქ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები და ნაცნობები რუბაშვილი და მარტყოფლიშვილი. დასაწყისში შთაბეჭდილება შეიქმნა ისეთი, რომ მაყურებელი საინტერესო ბრძოლის მოწმე გახდებოდა, მაგრამ მარტყოფლიშვილმა პასიური ბრძოლის გზა აირჩია და ამიტომ დაისაჯა — მას დამარცხება მიესაჯა.

ბერიაშვილის წინააღმდეგ „დინამომ" გამოიყვანა კოხა. ბურევესტნიკელმა, როგორც ყოველთვის, აგრესიულად ჩაატარა შეხვედრა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მეტად ლამაზი და ეფექტური გამოდგა სალარაძე-ავეტისიანის შეხვედრა. ორივე მოჭიდავე მოქმედებდა თამამად, გაბედულად. მესამე წუთზე სალარაძემ ჩაატარა ილეთი, რომელმაც მას წმინდა გამარჯვება მოუტანა. ამ შეხვედრის შემდეგ სტუდენტთა ნაკრებმა კოლექტივმა ანგარიში წაიყვანა 19:0. „ბურევესტნიკმა" ფაქტიურად გაინაღდა პირველი ადგილი, ამიტომ მომდევნო ორ წონით კატეგორიაში დამარცხებამ მას მდგომარეობა ოდნავადაც ვერ შეურყია. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ „დინამოს" გუნდის წევრებმა გურევიჩმა (საშუალო წონა) და ლომიძემ (ქვემძიმე წონა) მეტად ლამაზი გამარჯვებები მოუტანეს თავიანთ კოლექტივს.

გურევიჩმა მეორე წუთზე წმინდად დაამარცხა საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი ლეტუნი. ასევე „ელვისებური" გამოდგა ლომიძე-მაკლაკოვის შეხვედრა. პირველსავე წუთზე მაკლაკოვი ბეჭებით გაკრული აღმოჩნდა ხალიჩაზე.

უკანასკნელად ხალიჩაზე გამოვიდნენ მძიმე წონის მოჭიდავეები — მედვედი და კიკნაძე. დინამოელმა მხოლოდ რამდენიმე წუთს იაქტიურა, შემდეგ კი მას აშკარად არ ეყო სუნთქვა. ამასთან კიკნაძემ ტრავმაც მიიღო და ველარ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. ამრიგად, შეხვედრის საბოლოო შედეგი ყოფილი ჩემპიონისათვის მეტად უსიამოვნო ფორმებში გამოიხატა — 23:8 „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ.

სტუდენტთა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ო. რევიშვილი, ა. გაბსატაროვი, ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. სალარაძე, ვ. ლეტუნი, ვ. მაკლაკოვი და ა. მედვედი, დაიკავა პირველი ადგილი. გუნდის კაპიტანს ვ. რუბაშვილს გადაეცა საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონის გარდამავალი თასი. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა „დინამოს", ხოლო მესამე—„სპარტაკს".

ნ. ახვლედიანი

◆

სურათებზე: ზევით — „ბურევესტნიკის" გუნდი. ქვევით — „ბურევესტნიკის" გუნდის კაპიტანი ვ. რუბაშვილი შეჯიბრების მთავარი მსაჯისაგან — ვ. კუხიანიძისაგან იღებს გარდამავალ ჯილდოს.

ფოტო **მ. ზარგარიანისა.**

◆

უიღბლო დებიუტი ლაიპციგში

ლაიპციგი. (ტელეფონით). კვირას აქ შედგა თბილისის „ბურევესტნიკისა" და ლაიპციგის ფიზიკური კულტურის უმაღლესი სასწავლებლის ხელბურთელთა გუნდების მატჩი. შეხვედრის პირველი ნახევარი მასპინძლებმა 3 ბურთის სხვაობით (12:9) მოიგეს. მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა და ჩეხი მსაჯის დოლეჟალის საფინალო სასტვენის შემდეგ მატჩის საბოლოო შედეგი გამოიხატა ანგარიშით 25:17 გერმანელ ხელბურთელთა სასარგებლოდ. ამგვარად, თბილისელი ხელბურთელები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებას პირველ სტადიაშივე გამოეთიშნენ. მოსალოდნელია, რომ თბილისელები ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ ქალაქ მაგდებურგის ხელბურთელებთან.

უკვე გაირკვა ევროპის ჩემპიონთა ქვეყნების თასის გათამაშების 4 მეოთხედფინალისტი. ესენი არიან: „ორჰუსი" (დანია), დნფკ (გდრ), „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) და „ატლეტიკო" (ესპანეთი). დანარჩენი ოთხი მეოთხედფინალისტი გაირკვევა შემდეგ წყვილთა შეხვედრებში: „არსენალი" (ფინეთი)-„რედბერგსლიდი" (შვეცია), „ფა გენინგენი" (გფრ)-„ოს ფლემანლოსი" (ბელგია), „დინამო" (რუმინეთი)-„სპარტკუსი" (უნგრეთი) და „გრასჰოპერსი" (შვეიცარია)-„რუკომეტნი კლუბი" (იუგოსლავია).

კალათბურთი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრების პირველი ეტაპის შედეგები სვერდლოვსკის, კაუნასისა და კიევის ჯგუფის გუნდებისათვის.

ქვემოდ მოგვყავს რიგის ჯგუფში უკანასკნელი დღის შეხვედრათა შედეგები და გათამაშების საბოლოო ცხრილი.

სკა (ლენინგრადი)-სკა (ტაშკენტი) — 78:63, „სტროიტელი" (კიევი)-„ინქდორსტროი" (კიშინიოვი) — 68:35, ვეფი (რიგა)-სკიფი (ბაქო) — 104:91.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„სტროიტ". კიევი	5	5	0	5
სკა ლენინგრადი	5	4	1	4
ვეფი რიგა	5	3	2	3
„ინუდორსტროი" კშ.	5	2	3	2
სკიფი ბაქო	5	1	4	1
სკა ტაშკენტი	5	0	5	0

ვეტერანები უბრუნდებიან მინდორს

9 დეკემბერს, თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მეტად საინტერესო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ვეტერანი ფეხბურთელები და თბილისის „ლოკომოტივი".

ვეტერანები მინდორზე გამოიყვანა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ. აი გუნდის შემადგენლობა: პირაევი, კუბლაშვილი, რუსაძე, სარჯველაძე, ელოშვილი, გაგუა, ჰკუასელი, ზაზროევი, ბ. პაიჭაძე, ლოლობერიძე, ს. ჯეჯელავა. შემდგომში ვეტერანთა შორის მოხდა უმნიშვნელო ცვლილებები, კერძოდ, პაიჭაძე მეორე ტაიმში შეცვალა ნაზაროვმა, ხოლო ამ უკანასკნელის ნაცვლად გამოვიდა კინწურაშვილი.

ძველი თაობის ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი და ფრედ დაამთავრეს იგი „ბ" კლასის გუნდთან — 3:3. ვეტერანებიდან 2 ბურთი გაიტანა ლოლობერიძემ, 1 — ელოშვილმა.

სურათზე: ბ. პაიჭაძე (მარცხნივ) უტევს მოწინააღმდეგეს.

ფოტო **მ. ზარგარიანისა.**

„სოვეტსკი სპორტი" № 11

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ გამოუშვა კინოჟურნალ „სოვეტსკი სპორტის" მორიგი ნომერი.

მაყურებელი გაეცნობა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ფიზკულტურულ კოლექტივს. როგორც ცნობილია, ტტტ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია.

ჩანახატი — „ჩემპიონი ამზადებს ცვლას", მოგვითხრობს მოსკოვის ჩემპიონზე მხატვრული ტანვარჯიშში ლიუდმილა სავინკოვაზე — ნორჩ სპორტსმენთა აღმზრდელზე.

კინორეპორტაჟში აგრეთვე ნაჩვენებია საბჭოთა და ინგლისელ მოკრივეთა შეხვედრა, სპორტული ზეიმი ლუჟნიკში, მიძღვნილი საბჭოთა მილიციის დღისადმი, საბჭოთა და იაპონელ ტანმოვარჯიშეთა მატჩი.

ჟურნალი მთავრდება სიუჟეტით, რომელიც მიძღვნილია ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის დასკვნითი თამაშებისადმი.

კონსტიტუციის თასზე

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონის ცენტრალურ მოედანზე 5 დღეს მიმდინარეობდა ხელბურთელთა საქალაქო შეჯიბრება საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის თასის მოსაპოვებლად.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 ვაჟთა და 3 ქალთა გუნდი. ქალთა გუნდების შეჯიბრება ჩატარდა წრიული სისტემით, სადაც გამარჯვება წილად ხვდათ „განთიადის" ხელბურთელებს (მწვრთნელი ვ. არაქელოვი).

ვაჟთა გუნდების ტურნირი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. აქ კონსტიტუციის თასისათვის ბრძოლაში კარგი სტარტი აიღეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელბურთელებმა. ფინალში სწორედ ეს კოლექტივები გავიდნენ. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მინიმალური უპირატესობით უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ხვდათ — 23:22 (12:11). უნივერსიტეტის სპორტსმენებმა კონსტიტუციის დღისადმი დაწესებული პრიზი მოიპოვეს.

ი. პარლაგაშვილი,

საქართველოს სსრ ხელბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

რატომ ნაღვლობს ტონი?

ჟურნალის ფოტოსურათიდან გვიყურებს ახალგაზრდა კაცი სევდიანი თვალებით. რაღაც უჩინარ სიახლოეს გრძნობ, როცა მის სახეს უყურებ და მაინც ძნელია იცნო იგი. სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები ოლიმპიურ ჩემპიონს ავსტრიელ ტონი ზაილერს ყოველთვის მომღიმარს ხედავდნენ, ახლა კი რამ დაანაღვლიანა ტონი?. ამის შესახებ მოგვითხრობს შვეიცარული ჟურნალი „ტიპი", რომელმაც ზემოხსენებული ფოტო მოათავსა.

მიატოვა რა სამოყვარულო სპორტი, ზაილერმა ისეთი კარიერა შეიქმნა, რომ იგი შეშურდებოდა პროფესიონალ მოთხილამურეთა მეპატრონე პფეიფერსაც. ტონიმ რამდენიმე კინოსურათში ითამაშა, ახლა კი ლუცერნის თეატრალურ დასში მუშაობს. მას მიანდვეს ერთ-ერთი როლი — არტურ მილერის ახალ პიესაში. თითქოს მეტი რა უნდა ტონის? მაგრამ ზაილერს არ ასვენებს ნამდვილი სამოყვარულო სპორტი, ყურადღებით ადევნებს თვალს მის განვითარებას და ნანობს, რომ მსოფლიო დიდება გაცვალა მაღალ ჰონორარებზე.

პესიმისტ - თეორეტიკოსებს შორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს სამოყვარულო სამთო - სათხილამურო სპორტი დეგრადაციას განიცდის, მაგრამ ტ. ზაილერს მიაჩნია, რომ სპორტსმენ - მოყვარულთა ოსტატობა ყოველწლიურად იზრდება. „ახალი ოლიმპიადისწინა წელი მეტად საინტერესო იქნება" — ამბობს იგი. ამის შესახებ მეტყველებენ ფაქტებიც.

„თხილამურების „ნაპოლეონს" გამოჰყავს თავისი ჯარი" — იტყობინებიან ფრანგული გაზეთები. ასე უწოდებენ საფრანგეთის სამთო-სათხილამურო ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ო. ბონეს. მან უკვე ჩაატარა პირველი საწვრთნელი ვარჯიშები ვალ-დიზერის მთებში. ყოველთვის უკმაყოფილო მწვრთნელმა ამჯერად ეს განუცხადა ჟურნალისტებს: „ფრანგი მოთხილამურეები შესანიშნავ გუნებაზე არიან. ყველამ კარგად შეიგნო შარშანდელ დამარცხებათა გაკვეთილი. მე ახლა ძალზე მშვიდად ვგრძნობ თავს. დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის ნაკრები ახალ სეზონში შესანიშნავ გამარჯვებებს მოიპოვებს". გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ბონე თავის კონკურენტებს საიდუმლო სიურპრიზს უმზადებს. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ფრანგი მოთხილამურენი წარმატებით ითვისებენ ხრიალის ახალ სტილს, რომელსაც „რაკეტული ელვა" ჰქვია.

ავსტრიელებს, რომლებიც ახალ სეზონში ფრანგების ძირითადი კონკურენტები იქნებიან, არ სძინავთ. გასულ კვირას უხვმა თოვლმა სავსებით დაფარა მათი „თეთრი ტბა", სადაც გაშლილი აქვთ თავიანთი ბანაკი ავსტრიელ სპორტსმენებს. ეროვნული გუნდები ვარჯიშობენ სრული შემადგენლობით, მხოლოდ ვაჟებს აკლდათ ქვეყნის უძლიერესი — ე. ციმერმანი. შემოდგომაზე იგი ჩილის მთებში გადიოდა წვრთნას, მაგრამ სერიოზული ტრავმა მიიღო, სამაგიეროდ. კარგი მაჩვენებლები აქვს პ. შტიგლერს, რომელიც წელს აგრეთვე ჩილში ემზადებოდა. მოულოდნელი შევსება მიიღო ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა: ამხანაგური შეხვედრების შედეგების მიხედვით ეროვნულ ნაკრებში შეყვანილია ოთხი ნორჩი გოგონა — იოჰუმი, ბოტი, დიგრუბერი და ზეივალდი.

ავსტრიელმა მწვრთნელებმა ჰამონმა და ობერაიგნერმა შეადგინეს თავიანთ აღსაზრდელთათვის მიმდინარე წლის სეზონის შეჯიბრებებში მონაწილეობის სპეციალური გეგმა. ეს გეგმა ამოცანად ისახავს სპორტსმენთა გადატვირთვის საშიშროების აცილებას. ამისათვის სპორტსმენები ორ ჯგუფად იყოფიან, თვითეული მათგანი რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას.

ძლიერი გუნდის გამოყვანას ფიქრობენ მომავალ სეზონში იტალიელებიც. იტალიის ნაკრები ორ კვირაზე მეტია მთებში ვარჯიშობს. გუნდი მნიშვნელოვნად შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდებით. ქალთა ნაკრებში არ იქნება ვეტერანი პ. რივა, რომელმაც სწრაფდაშვებაში მეოთხე ადგილი დაიკავა სკვო-ველში, ხოლო მეორე ადგილი—გასულ წელს შამონში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მაგრამ პ. რივას შემცვლელი გოგონებისაგან, აგრეთვე სხვა გამოცდილი სპორტსმენებისაგან იტალიელი მწვრთნელები მოელიან საერთაშორისო კლასის მიღწევებს. გაამართლებენ თუ არა ამ იმედებს, გვიჩვენებს ინსბრუკის ოლიმპიადა, რომლის რეპეტიცია შედგება 1963 წლის თებერვალში. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ევროპის ქვეყნები, მოსალოდნელია ექვსი იაპონელი სპორტსმენის, ამერიკელი და კანადელი საუკეთესო მოთხილამურეების გამოსვლები.

ამას წინათ ავსტრიულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ინსბრუკის ოლიმპიადაზე აუცილებლად ჩამოვა ტ. ზაილერი. „სამწუხაროდ — განაცხადა ზაილერმა, — მე იქ მხოლოდ მაყურებლის როლში ვიქნები".

ა. გურკოვი,
„ნოვოსტის" სპორტული მიმომხილველი.

საზღვარგარეთის ამბები

სტენლი მეტიუზის დახმარებით

როგორც ცნობილია, ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ ინგლისის ჩემპიონატში პირველი ლიგის სამი გუნდი მეორე ლიგაში გადადის, რომელთაც მეორე „ეშელონში" სამი გამარჯვებული სცვლის. თუ ინგლისის მეორე ლიგაში პირველი ლიგის რომელიმე კოლექტივი ხვდება, მას უკან დაბრუნების დიდი იმედები არ უნდა ჰქონდეს მძაფრი კონკურენციის გამო. ასე მაგალითად, მეორე ლიგას დიდი ხნით შემორჩნენ ოდესღაც ცნობილი გუნდები „პრესტონ ნორს ენდი", „სანდერლენდი" და სხვ.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს უკანასკნელ სეზონში მეორე ლიგაში გადასული ლონდონის ცნობილი კლუბი „ჩელსი". იგი ახლა მტკიცედ ლიდერობს შეჯიბრებას. მასთან ერთად უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური პრეტენდენტია. აქამდე სრულიად უმნიშვნელო კლუბი „სტოკ სიტი", რომელმაც ზედიზედ 16 თამაში ჩაატარა დაუმარცხებლად. იქ დიდი წარმატებით თამაშობს თითქმის 48 წელს მიღწეული სტენლი მეტიუზი. როგორც ინგლისელი მიმომხილველები აღნიშნავენ, მეტიუზი თავისი გუნდის ნამდვილი ლიდერია. ეს ხნიერი ჯენტლმენი თამაშობს ისეთი ასაკის ფეხბურთელებთან ერთად, რომლებიც მას შვილებად ეკუთვნიან, მაგრამ მიუხედავად ამისა ნამდვილი შემართების მაგალითს უჩვენებს მათ. დღესაც „სტოკ სიტის" თავდასხმის ერთ-ერთი მთავარი იარაღია სტენლი მეტიუზის „ტრადიციული" გარღვევა მარჯვენა ფრთიდან, რასაც მეტოქეების კართან ნამდვილი აურ-ზაური მოაქვს.

სასიკვდილო გაფრენები

ახლახან „ჩესნა — 150"-ის ტიპის სპორტული თვითმფრინავი დაეჯახა გარაჟს და დაიმსხვრა ავსტრიის ერთ-ერთი ქალაქის ზალცბურგის გარეუბანში. მფრინავები— 21 წლის ერვინ ვრაჩკო და 24 წლის იოგან შიდერი დაიღუპნენ.

სპორტული თვითმფრინავების კატასტროფების შემთხვევები ამ ბოლოხანს დასავლეთის ქვეყნებში გახშირდა. „ეს რიგით მესამე კატასტროფა იყო ორი კვირის მანძილზე" იტყობინება გაზეთი „ფოლკსშტიმე". ორმა თვითმფრინავმა, რომლებიც ზალცბურგის ავარიამდე დაიღუპნენ, იმსხვერპლა ოთხი მფრინავის სიცოცხლე.

პრესა ამტკიცებს, რომ სპორტული თვითმფრინავების გახშირებული ავარიები უმთავრესად გამოწვეულია თვითმფრინავების „ტექნიკური არასრულყოფილობით". საქმე კი იმაშია, რომ ეს თვითმფრინავები არ გადიან სათანადო გამოცდებს და საავიაციო ფირმები მათ მნიშვნელოვანი დეფექტებით ყიდიან. ავარიების დროს ფირმების წარმომადგენლები ყველაფერს იმას აბრალებენ, რომ მფრინავები გამოუცდელნი არიან. მაგრამ ავსტრიაში ჩატარებულმა მრავალმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ დამნაშავენი არიან არა ავიატორები, არამედ მანქანები.

სწორედ ამის გამოა, რომ სპორტული საზოგადოებრიობა მოითხოვს აიკრძალოს „მფრინავი სიკვდილის" მანქანების ჰაერში გაშვება.

ფეხბურთის ქრონიკა

6 დეკემბერს უნდა შემდგარიყო მეტად საინტერესო მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურსა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" შორის. მაგრამ იმ დღეს შოტლანდიის დედაქალაქში ძლიერი ნისლი იდგა და მოწინააღმდეგეები ვერ შეხვდნენ ერთმანეთს.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ დაადგინა გაუგზავნოს შუამდგომლობა ფიფა-ს 1970 წლის მსოფლიო პირველობის არგენტინაში ჩატარების თაობაზე.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში დასასრულს უახლოვდება მეორე წრე. დამატებითი შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე შედგა უნგრეთის „უიპეშტსა" და იტალიის „ნაპოლის" შორის. იტალიელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

უეფა-ს ტურნირში შედგა შესარჩევი შეხვედრა უნგრეთისა და პოლონეთის იუნიორთა ნაკრებ გუნდებს შორის. უნგრელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და მოიპოვეს უფლება ითამაშონ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც ინგლისში შედგება 1963 წლის აპრილს.

„ცისფერი ბილიკის დედოფალი"

ძნელად რომ დღეს ვინმე გააკვირვო ახალი სპორტული რეკორდით. უმაღლესი მიღწევები ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, რომ ის, რაც გუშინ მიუღწეველ ზღვრად ითვლებოდა, სადღეისოდ მრავალთა ნადავლად ხდება. ასეა მძლეოსნობაში, სიმძიმეების აწევაში, სროლაში, ცურვაში...

მაგრამ მაინც არის მაჩვენებლები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ფენომენალურთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. სწორედ ასეთი რეკორდი დაამყარა ა. წ. 27 ოქტომბერს განთქმულმა ავსტრალიელმა მოცურავე ქალმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა დონ ფრეზერმა.

ცნობა ამ გაუგონარი რეკორდის შესახებ 28 ოქტომბერს მოედო მთელს მსოფლიოს. მელბურნის ცნობილ 55-იარდიან ოლიმპიურ საცურაო აუზში მიმდინარეობდა დიდი შესარჩევი შეჯიბრება ბრიტანეთის ეროვნებათა მეგობრობის თამაშებისათვის. დ. ფრეზერმა 110 იარდი (100 მეტრი და 58 სანტიმეტრი) გასცურა 59,9 წამში, მან პირველმა ქალთა სპორტის ისტორიაში 100 მეტრზე ცურვაში თავი დააღწია 1 წუთის ტყვეობას და ბრწყინვალე შედეგით საერთაშორისო კლასის ვაჟთა კატეგორიაში გადაინაცვლა.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე აუზში გაიმართა დიდი შეჯიბრება, სადაც ავსტრალიის ქალთა ნაკრებმა სტარტი აიღო ესტაფეტაში 4×110 იარდზე. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. ბელი, რ. ევერასი, რ. ტორნი და დ. ფრეზერი, დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 4.11,1. ესტაფეტის გმირი იყო დონ ფრეზერი, რომელმაც თავისი ეტაპი გასცურა ფენომენალურ დროში — 59,8.

* * *

სურათზე: დ. ფრეზერი (მარჯვნივ) ცნობილ ამერიკელ მოცურავე ქ. ფონ ზალტცასთან ერთად.

რედაქტორი Ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00775